



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაჭარ-ხელოსანთა და მედუქნეთა ამბოხება

ვაჭარ-ხელოსანთა და მედუქნეთა ამბოხება 1698, გამოსვლა თბილისში კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ, რ-ებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ ევრ. სავაჭრო კაპიტალის გაბატონებას საქართველოში, ენეოდნენ ვაჭრობას, მევახშეობას და სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ თბილისელ ვაჭრებს. განსაკუთრებით შელახეს სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ინტერესები. გამოსვლა ფორმით რელიგ. ხასიათისა იყო, რ-იც თითქოს გამოწვეული უნდა ყოფილიყო კათოლიკეების მომრავლებით. აჯანყების ინიციატორები იყვნენ ეკლესიის წარმომადგენლები, სომეხთა ვარდაპეტი და რამდენიმე მოქალაქე, მთავარი ძალა კი - ვაჭრები და მედუქნეები, რ-ებმაც მოწოდებისთანავე დაკეტეს დუქნები და კეტებით შეიარაღებულებმა პატრების სახლებსა და ეკლესიებს შეუტიეს. არეულობა თითქმის მთელი დღე გაგრძელდა. მოსახლეობის დაშოშმინება სამეფო ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი რაზმით მოხერხდა. აჯანყებულებმა მანამდე არ დატოვეს პატრების ეკლესია, სანამ მეფის საგანგებო ბრძანება არ გამოიცა, რ-ითაც შეიზღუდა კათოლიკე მისიონერების მოქმედების ასპარეზი. ამრიგად, 1698 გამოსვლა არსებითად ევრ. სავაჭრო კაპიტალის აგენტებისა და მათი ხელშემწყობი ფეოდ. არისტოკრატიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902.
